



საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N10 – Tskapp

აპლიკაცია

1. წინამდებარე დანართის მიზნებისთვის გამოყენებული ტერმინები:
 - 1.1. **სამსახურებრივი ბარათი** - ბანკის სხვა არა ფიზიკური პირი კლიენტის ანგარიშთან დაკავშირებული პლასტიკური ბარათის ციფრული ანალოგი, რომელიც ამავე კლიენტის დავალების საფუძველზე დამზადებულია **კლიენტის** სახელზე;
 2. **Tskapp აპლიკაციაში ბარათის ან/და სამსახურებრივი ბარათის** დამატების საფუძველზე, **კლიენტს** საშუალება აქვს განახორციელოს შემდეგი სახის **ოპერაციები**:
 - 2.1. თანხის გადახდა (კოს-ტერმინალის მეშვეობით, საქონლის ან/და მომსახურების საფასურის უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადახდა, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტით (მეტრო; M3 კატეგორიის ავტობუსი, საბაგირო გზა) და ქ. ბათუმის მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსით) მგზავრობის საფასურის გადახდა).
 - 2.2. **Tskapp აპლიკაციაში** განუსაზღვრელი რაოდენობის **ბარათების ან/და სამსახურებრივი ბარათის** დამატება. ამასთან, **კლიენტს** საშუალება აქვს გადახდისას აირჩიოს მისთვის სასურველი **ბარათი**, რომელითაც სურს გადახდა.
 - 2.3. **სამსახურებრივ ბარათთან** დაკავშირებულ ანგარიშზე ან/და **ანგარიშზე** არსებული ნაშთის შემოწმება.
 - 2.4. **Tskapp აპლიკაციის** მეშვეობით შესრულებული გადახდების შესახებ **ამონაწერის** ნახვა.
 3. **Tskapp აპლიკაციის** გამოყენება შეუძლიათ იმ **კლიენტებს**, რომლებიც ფლობენ:
 - 3.1. ანდროიდის ოპერაციულ სისტემაზე (4.4. ან უფრო ახალი ვერსია) მომუშავე სმარტფონს, Near-Field Communication (NFC) მხარდაჭერით.
 - 3.2. **ბანკის** დისტანციური არხის (**ინტერნეტ ბანკი/მობილ ბანკი**) მომხმარებლის სახელს და პაროლს.
 - 3.3. **ბანკის** მინიმუმ ერთ აქტიურ VISA ან MASTERCARD საერთაშორისო საბარათე სქემაში ჩართულ **ბარათს** (გარდა Visa Electron და Ciruss Maestro **ბარათებისა**) ან **სამსახურებრივ ბარათს**.
 4. **Tskapp აპლიკაციის** ჩამოტვირთვა და განახლება შესაძლებელია განხორციელდეს Google Play Store-დან.
 5. **Tskapp აპლიკაციის** გასააქტიურებლად საჭიროა:
 - 5.1. **კლიენტი** დაეთანხმოს **Tskapp აპლიკაციით** სარგებლობის წესებსა და პირობებს.
 - 5.2. **კლიენტმა** შეიყვანოს მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომელსაც იგი იყენებს **ბანკის** დისტანციური არხებით (**ინტერნეტ ბანკი/მობილ ბანკი**) სარგებლობის დროს. თუ **კლიენტს** არ აქვს შესაბამისი სახელი და პაროლი უნდა მოხდეს მისი აქტივაცია **ბანკში**.
 - 5.3. **კლიენტმა** დაადასტუროს **Tskapp აპლიკაციის** აქტივაცია SMS-ით ან **დიჯიტალური** მიღებული **ერთჯერადი კოდით**.
 - 5.4. **კლიენტმა** აკრიფოს სასურველი 4 (ოთხი) ნიშნა კოდი, რომელსაც გამოიყენებს **Tskapp აპლიკაციაში** შესასვლელად ან/და აირჩიოს **Tskapp აპლიკაციის** თითის ანაბეჭდით ან სახის ამომცნობით ჩართვის ფუნქცია (მობილურ მოწყობილობაში ასეთი ფუნქციის არსებობის შემთხვევაში).
 - 5.5. **კლიენტმა** აირჩოს ძირითადი **ბარათი**, რომლის საშუალებითაც შეასრულებს გადახდას.
 6. **Tskapp აპლიკაციით** გადახდის **ოპერაციის** შესასრულებლად საჭიროა მისი ჩართვა/**Tskapp აპლიკაციაში** შესვლა, რომლისთვისაც გამოიყენება **კლიენტის** მიერ წინამდებარე **დანართის 4.4 პუნქტის** პირობის შესაბამისად **Tskapp აპლიკაციაზე** წვდომის გააქტიურებისთვის დადგენილი მონაცემები. ამასთან, **Tskapp აპლიკაციაში** ჩართვის შემდეგ, **Tskapp აპლიკაციის** ან/და სმარტფონის მოქმედების სესიის დახურვამდე შესაძლებელია რამდენიმე გადახდის

- ოპერაციის განხორციელება ყოველი გადახდის ოპერაციისთვის Tskapp აპლიკაციის დამატებითი გააქტიურების (4 (ოთხი) ნიშნა კოდის ან სხვა მონაცემის მითითების) გარეშე.
7. კლიენტის მიერ Tskapp აპლიკაციის „ყოველთვის აქტიური“ რეჟიმის არჩევის შემთხვევაში, 50 (ორმოცდაათი) ლარამდე გადახდ(ებ)ის შესრულება შესაძლებელია სმარტფონის გააქტიურებით, Tskapp აპლიკაციის დამატებით ჩართვის გარეშე, ხოლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ზემოთ გადახდების შემთხვევაში, აუცილებელია Tskapp აპლიკაციის ჩართვა. წინამდებარე პირობიდან გამომდინარე კლიენტი ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ Tskapp აპლიკაციით აღჭურვილი სმარტფონის მოპარვის ან დაკარგვის ან/და მესამე პირისთვის გადაცემის შემთხვევაში შესაძლებელია იქნება გადახდის ოპერაციის შესრულება ყოველგვარი დაბრკოლების (მათ შორის Tskapp აპლიკაციის ჩართვის) გარეშე.
 8. Tskapp აპლიკაციის გააქტიურებიდან 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში შესაძლებელია მხოლოდ 100 (ასი) ლარის (ან მისი ექვივალენტი უცხოურ ვალუტაში) ოდენობის ოპერაცი(ებ)ის შესრულება.
 9. Tskapp აპლიკაციით შესრულებულ გადახდის ოპერაციებზე ვრცელდება საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N5 - ბარათის პირობები, ხოლო სამსახურებრივი ბარათის შემთხვევაში შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის პირობები, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია Tskapp აპლიკაციით გადახდისთვის ცალმხრივად დააწესოს ბარათის/სამსახურებრივი ბარათის პირობებისგან განსხვავებული პირობები.
 10. თუ სმარტფონი, რომელშიც ჩატვირთულია Tskapp აპლიკაცია მოპარული ან დაკარგულია ან/და კლიენტს ეჭვი აქვს, რომ ვიღაცამ იცის Tskapp აპლიკაციის წვდომის კოდი, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ბანკს ან გამოცხადდეს ბანკში პირადად, რის შემდეგაც, კლიენტის განცხადების შესაბამისად, ბანკი უზრუნველყოფს Tskapp აპლიკაციის ან/და Tskapp აპლიკაციაში დამატებული ბარათის დაბლოკვას. ამასთან:
 - 10.1. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად Tskapp აპლიკაციაში დამატებული ბარათის/სამსახურებრივი ბარათის დაბლოკვა და განბლოგვა განხორციელდება საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N5 - ბარათის პირობების შესაბამისად;
 - 10.2. თუ კლიენტს სურს Tskapp აპლიკაციის განბლოკვა, მაშინ იგი ვალდებულია გამოცხადდეს ბანკში და წერილობით განაცხადოს Tskapp აპლიკაციის ბლოკირების მოხსნის შესახებ.
 11. კლიენტი ვალდებულია:
 - 11.1. არ მისცეს მესამე პირებს Tskapp აპლიკაციის გამოყენების შესაძლებლობა;
 - 11.2. არასოდეს არ დაწეროს ან/და სხვაგვარად გახადოს ხელმისაწვდომი Tskapp აპლიკაციის წვდომის მონაცემები (მათ შორის 4 (ოთხი) ნიშნა კოდი) ისე, რომ მესამე პირებმა შეძლონ მათი ან/და ბარათის ან/და სამსახურებრივი ბარათის მონაცემების მოპოვება;
 - 11.3. ყოველთვის დაიცვას Tskapp აპლიკაციით სარგებლობის წესები და უსაფრთხოების ზომები.
 12. Tskapp აპლიკაციაში სამსახურებრივი ბარათის დამატებით კლიენტი ადასტურებს, რომ აცნობიერებს და ეთანხმება სამსახურებრივი ბარათის პირობებს, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე www.bankofgeorgia.ge.